საქართველო
ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
ZUGDIDI MUNICIPALITY MAYOR'S OFFICE

2100 ზუგდიდი, ზ. გამსახურდიას გამზ. №45; ტელ: (0 415) 25 15 30; ელ-ფოსტა: zugdidi.meria@gmail.com

# მშენებლობის ნებართვა №253

ძალაშია: 2018 წლის 21 ივნისამდე

დამკვეთი: „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი"-ს მინდობილი პირი ეკატერინე მესხრიკაძე №01024030704
(დასახელება)

დამკვეთის მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ 3ა

მშენებლობის ობიექტი: კიბოს სკრინინგ ცენტრის მშენებლობა
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ობიექტის მისამართი: ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქ. №198

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №43.31.76.066
(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

დამპროექტებელი ორგანიზაცია: შ.პ.ს. „კად სტილი"

(დასახელება, მისამართი )

მშენებლობის ნებართვა გაიცა ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

2016 წლის „21" 12 №3409 ბრძანებით.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის შესახებ " საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების საფუძველზე.

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
მერი

ი. [signature] ირაკლი გოგოხია

მერია

„21" 12 2016 წ.

საქართველო

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

ქ.ზუგდიდი 21/12/2016

3409-04-4-201612211355

# ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის

## ბრძანება N 3409

### მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ

**განცხადება:** №04/10327 და №04/11420
**შემოსვლის თარიღი:** 13.10.2016 და 16.11.2016
**ობიექტის მისამართი:** ქალაქი ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქ. №198
**დამკვეთი-განმცხადებელი:** ,,ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი"-ს მინდობილი პირი ეკატერინე მესხრიკაძე პ/ნ 01024030704
**მიწის ნაკვეთის საკადასტრო ამონაწერი:** №43/31/76/066
**სამშენებლო დოკუმენტი:** მშენებლობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული პროექტი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 აგვისტოს №31 დადგენილების შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. ნება დაერთოს ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქ. №198-ში, მის საკუთრებაში არსებულ 583.00კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის (საკადასტრო კოდი №43/31/76/066) ნაკვეთზე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით აწარმოოს კიბოს სკრინინგ ცენტრის მშენებლობა.

2. ნომენკლატურა:
   ა) კიბოს სკრინინგ ცენტრი
   ბ) III კლასი
   გ) მშენებლობის ნებართვა

3. ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

ა) მიწის ნაკვეთის ფართობი 583.00 კვ.მ

ბ) განაშენიანების ფართობი 361.90 კვ.მ

გ) საერთო ფართობი 693.60 კვ.მ

დ) შენობის მოცულობა 4932.00 მ$^3$

ე) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი $K_1$=0.6

ვ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი $K_2$=1.2

ზ) მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი $K_3$=0.25

4. მშენებლობა წარმოებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ."
5. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
6. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2016 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ივნისამდე.
7. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივნისის №35 დადგენილების ,,ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცალკეულ ტერიტორიებზე სამშენებლო სამუშაოების მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისათვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე" მუხლი ,,1" სამშენებლო სამუშაოების ან მშენებლობის ეტაპის მშენებლობის ნებართვით დადგენილ ვადაში დაუსრულებლობისთვის, პასუხისმგებლობის ზომად განისაზღვროს ჯარიმა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შემოწმების აქტის შედგენის დღისთვის, არსებული სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული ასაშენებელი (სადემონტაჟო)შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე პირველ ზონაში 0,3 ლარის ოდენობით, ხოლო მე-2 ზონაში 0,1 ლარის ოდენობით.
8. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი, მათ შორის:

   ა) საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობების და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 14.03.2009 წლის №57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;

   ბ) კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა–ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე–საძირკვლისაგან;

   გ) სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

   დ) მწვანე ნარგავების (გარდა ხილ–კენკროვანი მცენარეების) ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. ზუგდიდის მერიის შესაბამისი სამსახურის ნებართვა.

   ე) მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა;
9. მშენებლობის პროცესში პროექტის კალენდარული გრაფიკში მოცემული მშენებლობის ეტაპების ფარულ სამუშაოთა ოქმები მენაშენემ უნდა წარმოადგინოს კალენდარულ გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში.
10. ოქმების ვადაგადაცილებით წარმოდგენის შემთხვევაში გატარდება „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"–ს 45 მუხლი, „1"–პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, ,,სამშენებლო დოკუმენტაციითა და სამშენებლო რეგლამენტით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა" გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია.
11. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი აზომვითი ნახაზისა და ფარულ სამუშაოთა ოქმების წარმოდგენის შემდეგ მიღებულ იქნეს ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12. სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

13. თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ ატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.
14. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
15. დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:
ა) აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
ბ) აწარმოოს მშენებლობა განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;
გ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;
დ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;
16. მშენებლობაზე კონტროლი დაევალოს სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო კონტროლის განყოფილებას.
17. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე
18. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ზუგდიდი გ.ქობალიას ქ. №12)

ირაკლი გოგოხია

ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა